# საჯარო სამსახურის ბიუროს 2016 წლის ანგარიში

# სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობის 2016 წლის ანგარიში

თბილისი
2016

# სარჩევი


| | |
|---|---|
| საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარეობა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება | 4 |
| რეგიონული კონფერენცია – „საჯარო სამსახურის რეფორმა: საჯარო სამსახურის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება და მისი იმპლემენტაცია“ | 6 |
| ტრენერთა ტრენინგი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის შესახებ | 7 |
| საჯარო დაწესებულებების ფუნქციური ანალიზი | 8 |
| საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის საკითხები | 10 |
| ტრენერთა ტრენინგი შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის შესახებ | 10 |
| სამუშაოს ანალიზისა და სამუშაოს აღწერილობების ტრენინგი | 11 |
| HR ფორუმი | 11 |
| eHRMS | 12 |
| საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდი www.hr.gov.ge განახლება | 12 |
| სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა | 12 |
| დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის განვითარება | 13 |
| საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შემუშავება | 13 |
| ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებზე ტრენინგები | 14 |
| საერთაშორისო თანამშრომლობა | 15 |
| სტატისტიკა | 18 |

2015 წლის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიუროს აქტიური მხარდაჭერისა და საჯარო სამსახურის განვითარების პროცესში შეტანილი წვლილისათვის, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით NATO – საქართველოს სამეკავშირეო ოფისსა და მის პროფესიული განვითარების პროგრამას (PDP), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), დემოკრატიული მმართველობის ინიციატივას (GGI), ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარების პროექტს (HICD 2020) ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ტექნიკური დახმარების სამსახურს (SIGMA), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ), გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), შვედეთის მთავრობას და გაეროს ქალთა ორგანიზაციას (UN WOMEN).

# საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარეობა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება

საჯარო სამსახურის რეფორმის იმპლემენტაციისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, 2016 წლის განმავლობაში სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ, კომპეტენციების გათვალისწინებით, მომზადდა მთელი რიგი კანონებისა თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების პირველადი ვერსიები. მათ შორის:

- „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი ბიუროს მანდატისა და კომპეტენციის გათვალისწინებით;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „პროფესიულ საჯარო მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარების წესის, სტანდარტისა და თემატიკის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;

- „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „პროფესიული საჯარო მოხელის მიერ პროფესიული განვითარებისათვის შვებულებით სარგებლობის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება;
- „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენების და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები OECD SIGMA-ს ექსპერტები. 2016 წლის განმავლობაში შედგა სამი შეხვედრა, სადაც განხილული იყო ექსპერტების მოსაზრებები მომზადებულ პროექტებთან დაკავშირებით, ხოლო დისკუსიის შედეგების შესაბამისად მოხდა პროექტების განახლება და კიდევ უფრო დახვეწა.

ბიუროს მიერ შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები ფართო საზოგადოებისათვის წარდგენილ იქნა 2016 წლის აგვისტო-სექტემბრის თვის განმავლობაში. საჯარო განხილვების ფარგლებში მოეწყო 8 სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, როგორც სამინისტროების იურიდიული დეპარტამენტების, ასევე ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების თანამშრომლებმა, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების წარმომადგენლებმა, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოდან, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლებმა, აკადემიური სექტორის, არასამთავრობო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების დაინტერესებულმა პირებმა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონით გათალისწინებული სერტიფიცირების პროცესის სრულყოფილად მომზადებისა და დანერგვის მიმართულებით. კერძოდ:

ნატო – საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) მხარდაჭერით, შემუშავდა და განისაზღვრა სერტიფიცირების თემატიკა, რაც აისახა თავად „პროფესიულ საჯარო მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარების წესის, სტანდარტისა და თემატიკის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში. UNDP-ის გრანტის ფარგლებში, აღნიშნული თემატიკის შესაბამისად მომზადდა სერტიფიცირები-

სათვის ტესტების ბანკი 1000 ტესტის შემადგენლობით, რომელიც მომავალში განახლდება და კიდევ უფრო გამდიდრდება. ტესტების მოსამზადებლად ბიუროს მიერ ხელშეკრულება გაუფორმდა სსიპ – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს, რომელმაც უზრუნველყო წინასწარ განსაზღვრული თემატიკის შესაბამისად ტესტების მომზადება.

ტესტების შექმნის პარალელურად ბიურომ დაიწყო მუშაობა იმ ელექტრონული პროგრამის მომზადებაზე, რომელიც უზრუნველყოფს, სამომავლოდ, სასერტიფიკაციო გამოცდის გამართულად და ობიექტურად წარმართვას. შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ ანალიტიკური სამსახურის მიერ განახლდა ელექტრონული პროგრამა, რომლის გამოყენებითაც ჩატარდება სერტიფიცირების ტესტირება. ელექტრონული პროგრამის კოდი, USAID-ის თანხმობით, ბიუროს გადაეცა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ.

ამ ეტაპისათვის სრულად არის შექმნილი სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტების ბანკი – 1000 ტესტი და სერტიფიცირების ტესტირების ელექტრონული პროგრამა.

ბიუროს საქმიანობა სერტიფიცირების მიმართულებით არ შემოიფარგლა ზემოთ აღნიშნულით და ამ ეტაპზე ისევ UNDP-ის გრანტის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა სერტიფიცირების სახელმძღვანელოზე, რომელშიც თავმოყრილი იქნება „პროფესიულ საჯარო მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარების წესის, სტანდარტისა და თემატიკის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული თემატიკიდან გამომდინარე ყველა ის საკითხი, რომელიც აუცილებელია ტესტირებისათვის მოსამზადებლად. აღნიშნული სახელმძღვანელო განთავსდება საჯარო სამსახურის ბიუროს საიტზე და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენს, ასევე სერტიფიცირების საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის შესაბამისი ვიდეო რგოლების დამზადება. UNDP-ის დახმარებით, ბიუროს მიერ მზადდება ორი ვიდეო რგოლი, რომლებიც განთავსდება ბიუროს საიტზე და გააცნობს მოსახლეობას სერტიფიცირების პროცედურებს და ტესტირების პროცესთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს.

## რეგიონული კონფერენცია – „საჯარო სამსახურის რეფორმა: საჯარო სამსახურის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება და მისი იმპლემენტაცია“

საჯარო სამსახურის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას მიეძღვნა 2016 წლის 29 იანვარს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, ნატო – საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერითა და საჯარო სამსახურის ბიუროს ორგანიზებით გამართული რეგიონული კონფერენცია თემაზე – „საჯარო სამსახურის რეფორმა: საჯარო სამსახურის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება და მისი იმპლემენტაცია“. კონფერენცია დაეთმო საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის პროცესის აღწერას, კერძოდ, იმ მნიშვნელოვან გამოწვევებს, რის წინაშეც დგას საქართველო ევროინტეგრაციის პროცესში. ამავდროულად, მოხდა საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების საჭიროებისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის განხილვა. ღონისძიების ფარგლებში, გაზიარებულ იქნა უცხო ქვეყნის გამოცდილება და გაიმართა დისკუსიები. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ად-

გილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და უცხოელმა სტუმრებმა, კერძოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა.

## ტრენერთა ტრენინგი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებით გათვალისწინებული სიახლეების საჯარო მოსამსახურეებისათვის გაცნობის მიზნით, ბიუროს ორგანიზებითა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (ToT). აღნიშნული ტრენინგის მიზანია ხელი შეუწყოს ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესს. ბიურომ ამ მიზნით მოიწვია ადგილობრივი ექსპერტი, რომელიც ინტენსიურად იყო ჩართული კანონის შემუშავების პროცესში. სულ ტრენერთა ტრენინგის ფარგლებში გაიმართა ოთხი სამუშაო შეხვედრა. მოწვეულმა ექსპერტმა, ტრენერთა ტრენინგის მონაწილეთა ჩართულობითა და დახმარებით, შეიმუშავა ტრენინგის მოდული, დღის წესრიგი და სახელმძღვანელო. ტრენერთა ტრენინგს ესწრებოდნენ როგორც საჯარო სამსახურის ბიუროს, ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები.

იმის გათვალისწინებით, რომ კანონი ახლებურად არეგულირებს საჯარო სამსახურის მოქმედების სფეროს, მკვეთრად მიჯნავს საჯარო მოსამსახურისა და სახელმწიფო მოსამსახურის ცნებებს, იგეგმება ამ მიმართულებით ტრენინგების ინტენსიურად ჩატარება 2017 წლის იანვრიდან.

## საჯარო დაწესებულებების ფუნქციური ანალიზი

საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის რეფორმის წარმატებით განხორციელებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის ამოქმედებისათვის საფუძვლის მომზადების მიზნით, USAID-ის პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო 2016 წლის განმავლობაში ახორციელებდა ცენტრალური საჯარო დაწესებულების ფუნქციურ და ინსტიტუციურ ანალიზს რომელიც დღესაც მიმდინარეობს.

ინსტიტუციური ანალიზის განხორციელების პირველ ეტაპზე, ბიუროში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, საჯარო სამსახურში ინსტიტუციური მოწყობისა და პრაქტიკის განზოგადების დეპარტამენტის სახით.

ფუნქციური ანალიზის პირველი ფაზის დროს იდენტიფიცირებული ორგანიზაციული ხარვეზების სწორად გაანალიზებისა და შესაბამისი რეკომენ-

დაციების მომზადების მიზნით, 2016 წლის განმავლობაში ბიურომ, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციებისა და OECD/SIGMA-ს საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად, შეიმუშავა ცენტრალური საჯარო დაწესებულებების სტრუქტურული მოწყობის ზოგადი პრინციპები და მეთოდოლოგია უწყებებისათვის სახელმძღვანელოდ.

2016 წლის განმავლობაში, ინსტიტუციური ანალიზის სამიზნე სეგმენტად, მთავრობის დადგენილების შესაბამისად განისაზღვრა ცენტრალური საჯარო დაწესებულებები – სამინისტროები, მათ სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად.[1] თავის მხრივ, სამინისტროები გაიყო ე.წ. თემატურ ჯგუფებად.

ფუნქციური ანალიზის კვლევის მიზანია რეფორმის ორი მნიშნელოვანი ასპექტი: ორგანიზაცია (მოწყობა) და პოლიტიკა (policy). აღნიშნული ფართო გაგებით გულისხმობს, დაწესებულებების პოლიტიკის ეფექტიანობის ჭრილში, მისი მისია – მიზნებიდან გამომდინარე ფუნქციებისა და გაწეული მომსახურების ეფექტურობის შესწავლას; ის, ასევე, შესაძლოა მოიცავდეს, პოლიტიკისა და პროგრამების მთლიანობით ანალიზს (მთელი საჯარო სექტორის ფარგლებში).

აღნიშნული მიზნით, ფუნქციური ანალიზის პირველი ფაზა მოიცავდა საჯარო დაწესებულებების სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალური რაოდენობის შესწავლას, ასევე, დაწესებულების უკეთ მართვის მიზნით, რეკომენდაციების პირველადი ვარიანტის შემუშავებას. კერძოდ, სამინისტროებიდან მიღებული ინფორმაციისა და მათ

[1] „საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის N627 დადგენილებით სახელმწიფო მმართველობის, ადგილობრივი თვითთმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ეთხოვათ ფუნქციური ანალიზის განხორციელება.

საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების შედეგად, მოხდა სამინისტროების სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობის ხარვეზების იდენტიფიცირება და დაიგეგმა სამინისტროების ვერტიკალური ანალიზი – დაწესებულების მისია – მიზნებიდან გამომდინარე პრიორიტეტული და სტრატეგიული ამოცანების შესრულების ეფექტურობისა და რაციონალურობის შესწავლა. მომზადდა კითხვარები როგორც პირისპირ ინტერვიუებისთვის, ისე რაოდენობრივი ანონიმური კვლევისთვის (დეპარტამენტებში დასაქმებული თითოეული თანამშრომლისათვის).

სულ, 2016 წლის განმავლობაში ჩატარდა 10 სამინისტროს, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის აპარატების პირველადი ანალიზი და მომზადდა შესაბამისი ანგარიშები. ანალიზის პროცესში დაიგეგმა და ჩატარდა 56 ინტერვიუ, როგორც სამინისტროს პოლიტიკის შემუშავებაზე და სტრატეგიულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტების უფროსებსა და მათ მოადგილეებთან, ასევე, სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან.

2017 წლის განმავლობაში, იგეგმება დარჩენილი სამინისტროების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის დასრულება; ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციური ანალიზის მიზნით შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება; ასევე, შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, აღნიშნული პროცესის თაობაზე გაიწერა, როგორც ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის დოკუმენტში, ისე საქართველოს მთავრობის – საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმაში.

ბიუროს ინსტიტუციური მოწყობისა და პრაქტიკის განზოგადების დეპარტამენტის თანამშრო-

მელთა კომპეტენციების გაზრდისა და უნარების გაუმჯობესების მიზნით, დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით, დეპარტამენტის თანამშრომლებს, PR აკადემიის მიერ ჩაუტარდათ ინტენსიური ტრენინგები შემდეგ მიმართულებებში: ანგარიშის მომზადებისა და წერითი პრეზენტაციის უნარები, საჯარო გამოსვლის ტექნიკა, არავერბალური კომუნიკაცია და ინტერვიუს მართვის უნარები, ორგანიზაციული პროცესების მართვა და გუნდის ეფექტიანობა.

ინსტიტუციური ანალიზის განხორციელებაში ფინანსური და მეთოდური დახმარების გზით, წვლილი შეიტანეს USAID-ის პროგრამა GGI-იმ, მათ მიერ მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა, USAID-ის პროექტმა HICD 2020, NATO-Georgia PDP-ის წარმომადგენლებმა და „სინერჯი ჯგუფის“ ექსპერტებმა; ასევე, უშუალოდ სამინისტროების თანამშრომლებმა, პირისპირ ინტერვიუებში მონაწილეობისას და ორგანიზაციულ პრობლემებზე ღიად საუბრის დროს.

## საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის საკითხები

### ტრენერთა ტრენინგი შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის შესახებ

2016 წლის იანვარსა და აპრილში, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და USAID-ის პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) მხარდაჭერით ორ ეტაპად ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. ტრენინგის ფარგლებში საჯარო მოხელეთა აკადემიის (dbb Academy) ექსპერტის მიერ გადამზადნენ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის სფეროს წარმომადგენელები, რომლებიც შემდგომ თავად ჩაატარებენ ტრენინგს საჯარო დაწესებულებების მენეჯერებისათვის შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის წარმატებით დანერგვის მიზნით.

2016 წლის ბოლოს USAID-ის პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა შეფასების სისტემის ტრენინგის მოდული საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანური რესურსების მართვის სფეროს წარმომადგენლებისა და შეფასების პროექტში ჩართული მენეჯერებისათვის. ტრენინგ მოდული მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სავარჯიშოებს შეფასების სისტემის მეთოდოლოგიის, უკუკავშირის ტექნიკებისა და ტრენინგის საჭიროებების ანალიზის შესახებ. აღნიშნული ტრენინგი საჯარო სამსახურის მასშტაბით ჩატარდება 2017 წლის მანძილზე.

## სამუშაოს ანალიზისა და სამუშაოს აღწერილობების ტრენინგი

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით 2016 წლის აპრილ-ივნისში ჩატარდა სამუშაოს ანალიზისა და სამუშაოს აღწერილობების ტრენინგების ციკლი. აღნიშნული პროექტი განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“, NATO – საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) და GIZ-ის პროგრამის „ადგილობრივი თვითმმართველობა სამხრეთ კავკასიაში“ დაფინანსებით. აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებების წარმომადგენლებისათვის.

ტრენინგის მიზანი იყო, ადამიანური რესურსების მართვის სფეროს წარმომადგენლებისთვის საფუძვლიანი ცოდნის მიცემა სამუშაოს აღწერის არსის, დანიშნულებისა და სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტის შექმნის ტექნიკის შესახებ.

## HR ფორუმი

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და ორგანიზებით, 2016 წლის 29 თებერვალსა და 30 მაისს გაიმართა HR ფორუმი. აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა NATO – საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამისა (PDP) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის პროექტის (რომელიც ხორციელდება სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) მიერ) მხარდაჭერით.

ფორუმში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც, ცენტრალური საჯარო დაწესებულებების, დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საერთო სასამართლოების სისტემისა

და საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისა და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციების ადამიანური რესურსების მართვის სფეროს წარმომადგენლები.

ფორუმის ფარგლებში განხილულ იქნა ბიუროს მიერ შემუშავებული საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები.

## eHRMS

ადამიანური რესურსების მართვის სისტემების ეფექტური და ეფექტიანი მუშაობისათვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციებს დანერგილი ქონდეთ ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა – HRMS. საჯარო სამსახურის ბიურო 2015-2016 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა ყველა საჯარო დაწესებულებასთან, იმისათვის რომ მათ დაენერგათ აღნიშნული სისტემა. შესაბამისად, 2016 წლის ბოლოსთვის HRMS დანერგილია ყველა სამინისტროში, ასევე დანერგილია სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ 63 სსიპ-ში; აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების 37 უწყებაში; ყველა სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში (სულ 9); ყველა თვითმმართველობაში (სულ 152 ორგანიზაცია). ამ ეტაპზე HRMS-ის დანერგვა მიმდინარეობს სასამართლო ხელისუფლების სისტემაში და ასევე, ხდება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პროგრამების ურთიერთდაკავშირება

საჯარო სამსახურის ბიურო ამჟამად შეიმუშავებს ახალ სტანდარტებს ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამის განვითარებისა და დახვეწის, მასში ახალი მოდულების დამატების მიმართულებით.

## საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდი www.hr.gov.ge განახლება

2016 წლის ივლისში განახლდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდი www.hr.gov.ge, სადაც ხდება ყველა საჯარო დაწესებულების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების განაცხადების განთავსება.

ვებ-გვერდის ახალ ვერსიაში განხორციელდა ცვლილებები, როგორც ტექნიკური, ასევე შინაარსობრივი და ვიზუალური თვალსაზრისით, განახლდა არსებული ფუნქციონალები.

გარდა ამისა, სისტემას ორგანიზაციის მხარეს დაემატა კონკურსის შედეგების მართვის ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც ორგანიზაციები, რომლებიც კონკურსის შედეგებს აწვდიდნენ საჯარო სამსახურის ბიუროს, წერილობითი სახით, ამ მონაცემებს უკვე www.hr.gov.ge-ზე განათავსებენ.

## სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა

2016 წლის მანძილზე სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა განხორციელდა ორ ნაკადად: გაზაფხულის და შემოდგომის ნაკადი. სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 1425-მა სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა, რომლებმაც სტაჟირება გაიარეს საჯარო უწყებებში: სამინისტროები, სსიპ-ები, თვითმმართველობები, სასამართლოები.

საჯარო სამსახურის ბიურო მუდმივად ახორციელებს სტაჟირების პროგრამის პროცედურული მხარის დახვეწას და განვითარებას.

## დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის განვითარება

საჯარო სამსახურის ბიურო საჯარო სამსახურის რეფორმის საკითხებთან ერთად აქტიურად არის ჩართული ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკის მხარდაჭერაში. ბიუროს მანდატი მოიცავს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების შეგროვებასა და მათი საჯაროობის უზრუნველყოფას, ასევე საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის, კორუფციისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო მოსამსახურეთა გადამზადებას.

2015 წელს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ცვლილებები „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვის მიზნით. კანონში განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებამდე, დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დასანერგად მომზადების მიზნით, შემუშავდა დეკლარაციების მონიტორინგის განხორცილების ინსტრუქცია – საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და დეტალურად გაიწერა ყველა ის პროცედურა, რომელიც სავალდებულოა დეკლარაციების მონიტორინგის განხორციელებისათვის, მათ შორის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნისა და უშუალოდ მონიტორინგის პროცესის წარმოების წესი, რომლის განხორციელების პროცესსაც მხარს უჭერდა HICD 2020-მიერ დაქირავებული ექსპერტი.

აღნიშნული დადგენილების პროექტი განსახილველად წარედგინა ანტიკორუფციულ საბჭოს და განახლდა შესაბამისი შენიშვნების გათვალისწინებით, გარდა ამისა, ბიუროს მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში" და „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლის თანახმადაც დეკლარაციების მონიტორინგის მიზნებისათვის ბიურო შეძლებს მიიღოს ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებში დაცული შესაბამისი ელექტრონული ბაზებიდან.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, 2016 წლის განმავლობაში, საჯარო სამსახურის ბიუროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად მუშაობდა დეკლარაციების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის განვითარებაზე, რომელიც დასრულდა 2016 წლის 1 დეკემბერს და ამჟამად, მიმდინარეობს შემუშავებული ელექტრონული პროგრამის ტესტირება.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იგეგმება ბიუროს რეორგანიზაცია და საშტატო რიცხოვნობის 5 ერთეულით ზრდა, რაც შესაძლებელს გახდის შეიქმნას ახალი დეპარტამენტი და უზრუნველყოფილ იქნეს დეკლარაციების მონიტორინგის პროცესის კანონის შესაბამისად წარმართვა.

## საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შემუშავება

საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავდა „საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების" შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი (შემდგომში – ეთიკის კოდექსის პროექტი).

ეთიკის კოდექსის უმთავრესი მიზანია ეთიკური გარემოს შექმნა საჯარო სამსახურის სისტე-

მაში, რაც გულისხმობს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული სტანდარტის დამკვიდრებას, საჯარო სამსახურისათვის ფუნდამენტური პრინციპებისა და ღირებულებების პრაქტიკაში გატარების მიზნით და ხელს შეუწყობს მიუკერძოებელი, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული, კეთილსინდისიერი და კოლეგიალური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას.

ეთიკის კოდექსის პროექტი შედგება ოთხი თავისაგან. ეთიკის კოდექსის პირველი თავი ეხება საჯარო მოსამსახურის ურთიერთობას სახელმწიფოსთან და მასთან დაკავშირებულ ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორებიცაა: ერთგულების პრინციპი, კეთილსინდისიერების პრინციპი, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი; ამავე თავით რეგულირდება საჯარო მოსამსახურის გამოხატვის თავისუფლებასთან, საჩუქართან და ინტერესთა შუეთავსებლობასთან დაკავშირებული საკითხებიც.

ეთიკის კოდექსის პროექტის მეორე თავი ადგენს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიულ სტანდარტებს. ამ თავით გათვალისწინებულია, როგორც უშუალოდ საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციაში ეთიკური გარემოს შექმნისათვის აუცილებელი პრინციპების, ისე შიდა ორგანიზაციული საქმიანობის მომწესრიგებელი ქცევის ზოგადი სტანდარტები, რომლებიც მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული კულტურის ფორმირებისათვის.

კოდექსის პროექტის ბოლო, მესამე თავი აერთიანებს საჯარო მოსამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის აუცილებელ პრინციპებსა და ღირებულებებს. აღნიშნული თავი მოიცავს გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპს, მოქალაქეთა ჩართულობასა და მათთვის მომსახურების გაწევასთან, ასევე საჯარო ინფორმაციის გაცემასთან და დამუშავებასთან დაკავშირებულ ქცევის ზოგად სტანდარტებს.

ეთიკის კოდექსზე მუშაობის პროცესში მოეწყო 5 საჯარო განხილვა, რომლებსაც ესწრებოდნენ საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების, შიდა აუდიტისა და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლები როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე; ასევე, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური სექტორის წარმომადგენლები. აღნიშნულ საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნებისა და კომენტარების უმეტესი ნაწილი გაზიარებულ და ასახულ იქნა ეთიკის კოდექსის პროექტის საბოლოო ვერსიაში.

## ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებზე ტრენინგები

ბიუროს მიერ დაიგეგმა ტრენინგების ციკლი ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ცენტრალური საჯარო დაწესებულებების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლებისათვის.

ტრენინგები ჩატარდა საჯარო სამსახურის ბიუროს ორგანიზებით, ბიუროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, dbb Academy-ს ექსპერტების მიერ გადამზადებული და სერტიფიცირებული ტრენერების მიერ, NATO – საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამისა (PDP) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) რეგიონული და ადგილობრივი განვითა-

რების ხელშეწყობის პროექტის ფინანსური მხარდაჭერით.

სულ 2016 წლის განმავლობაში, ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გადამზადდა 660 საჯარო მოხელე, რომელთაგან უმეტესობას (65%) ქალები წარმოადგენდნენ. ტრენინგის თითოეულ მონაწილეს გადაეცა, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ სახელმძღვანელოს განახლებული ვერსია.




## საერთაშორისო თანამშრომლობა

საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად თანამშრომლობს რეგიონის ქვეყნებთან საჯარო სამსახურის სფეროსა და ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებული გამოცდილებისა თუ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

ბიუროს წარმომადგენლები მუდმივად მოაწილეობენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ სასწავლო შეხვედრებში. 2016 წლის განმავლობაში შეხვედრები შედგა აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინასა და მოლდოვაში. ხოლო საქართველოში 2016 წლის 10-11 ნოემბერს სასტუმრო „ბილტმორ თბილისში“, აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობის I პლატფორმის „დემოკრატია, კარგი მმართველობა, სტაბილურობა“ ფარგლებში სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს ორგანიზებითა და ნატო – საქართველოს პრო-

ფესიული განვითარების პროგრამის (PDP) მხარდაჭერით გაიმართა სემინარი თემაზე – „საჯარო სამსახურში მოხელეთა შეფასების სისტემა“.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს, ბელორუსიის, მოლდოვის, სომხეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, პოლონეთის, ლიტვისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები. სემინარის ფარგლებში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან გაზიარებულ იქნა საკუთრი გამოცდილება შეფასების სისტემასთან დაკავშირებით.

ასევე, ნატო – საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მოეწყო სასწავლო ვიზიტი ლიტვასა და რუმინეთში. ვიზიტის ფარგლებში გაზიარებულ იქნა ლიტვის საჯარო სამსახურის გამოცდილება და დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობა, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს საქართველოში მიმდინარე საჯარო სამსახურის რეფორმას, ხოლო რუმინეთში გაზიარებულ იქნა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემასთან დაკავშირებული გამოცდილება.

2016 წლის 10 მაისს საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლები დაესწრნენ საერთაშორისო კონფერენციას „საჯარო მმართველობის პრინციპები – ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნების ჩარჩო“, რომელიც გაიმართა იორდანიაში. კონფერენციის ძირითად მიზანს წარმოადგენდა

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნების წარმომადგენლებისათვის საჯარო მმართველობის პრინციპების ჩარჩოს გაცნობა, რომელიც OECD/SIGMA-სა და ევროკომისიის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა.

2016 წლის 14-16 სექტემბერს, საქართველომ უმასპინძლა ლატვიის სახელმწიფო კანცელარიის უფროსს, მარტინ კრიევენსს, ლატვიის სამთავრობო უწყებათა წარმომადგენლებსა და ლატვიის ექსპერტებს. ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, ხორციელდება პროექტი „ადამიანური კაპიტალის შესაძლებლობების განვითარება საჯარო ადმინისტრირების და ეფექტური მმართველობისთვის საქართველოსა და უკრაინაში", აღნიშნული პროექტის ფარგლებში ლატვიის სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენლების მხრიდან გაზიარებულ იქნა მათი გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა საჯარო ადმინისტრირების რეფორმისა და საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე, კომპეტენციის სისტემის განვითარებაზე, საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების ანაზღაურების, პროფესიული განვითარების, სწავლებისა და საქმიანობის შეფასების შესახებ.

2016 წლის 7-10 დეკემბერს საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ღია მმართველობის პარტნიორობის ყოველწლიურ სამიტში. სამიტის ფარგლებში, საფრანგეთის საჯარო სამსახურში გამჭვირვალობის უზრუნველყოფის უმაღლესი ორგანოს ინიცირებით, 14 სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან ერთად ჩამოყალიბდა პლატფორმა – „კეთილსინდისიერების ქსელი (Network for Integrity)", საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციისა და არაეთიკური ქცევების აღმოფხვრასთან დაკავშირებული წევრი ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზნით. სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო, ევროპისა და აზიის ქვეყნების 13 დამოუკიდებელ უწყებასთან ერთად, წარმოადგენს აღნიშნული პლატფორმის ერთ-ერთ დამფუძნებელ წევრს.

პლატფორმის შექმნის მიზანია სხვადასხვა ქვეყნების ორგანოებმა, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ანტიკორუფციული პოლიტიკის მხარდაჭერასთან, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების შევსების უზრუნველყოფასა და მონიტორინგთან, გააზიარონ ამ სფეროში მიღებული გამოცდილება და ხელი შეუწყონ საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას შესაბამისი საჭიროების არსებობისას.

## სტატისტიკა

| საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა<br>employees in the public sector | |
|---|---|
| საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები<br>Administration of the Government of Georgia and Administration of the President of Georgia | 332 |
| საქართველოს პარლამენტი<br>Parliament of Georgia | 574 |
| აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები<br>Autonomous Republics of Abkhazia and Adjara | 1279 |
| სახელმწიფო რწმუნებულების -გუბერნატორების ადმინისტრაციები<br>Governor's Administration | 266 |
| სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები<br>Ministries and State Ministers' Offices | 26256 |
| ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br>Local Self-Government Bodies | 11913 |
| სასამართლოები<br>Courts | 1659 |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირები<br>LEPLS | 8945 |

**ჯამი/Total: 51242**

**საჯარო სექტორში ფაქტობრივად დასაქმებულთა პროცენტული გადანაწილება უწყებების მიხედვით:**

**Percentage of employees in public sector by government agencies:**

- საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები
  Administration of the Government of Georgia and Administration of the President of Georgia
- საქართველოს პარლამენტი
  Parliament of Georgia
- აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები
  Autonomous Republics of Abkhazia and Adjara
- სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები
  Governor's Administration



- სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები
  Ministries and State Ministers' Offices
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
  Local Self-Government Bodies
- სასამართლოები
  Courts
- საჯარო სამართლის იურიდიული პირები
  LEPLS

**ჯამი/Total: 51242**

**გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გამოკლებით ვიღებთ შემდეგ სურათს (ვინაიდან მათი საერთო რიცხვია 19091):**
**The Table does not include the servants employed in the Ministry of Internal Affairs (total number: 19091):**

- საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები
  Administration of the Government of Georgia and Administration of the President of Georgia
- საქართველოს პარლამენტი
  Parliament of Georgia
- აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბ-ლიკები
  Autonomous Republics of Abkhazia and Adjara
- სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორე-ბის ადმინისტრაციები
  Governor's Administration
- სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები
  Ministries and State Ministers' Offices
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო-ები
  Local Self-Government Bodies




**ჯამი/Total: 32151**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ფაქტობრივად დასაქმებულთა ჯამია 11913, ისინი შემდეგნაირად ნაწილდებიან რეგიონებზე:

Total number of 11913 employees in local self-government bodies is distributed among the regions as follows:




**საჯარო სამსახურში ფაქტობრივად დასაქმებულთა საერთო რაოდენობა გენდერულ ჭრილში**

**The actual total number of male and female employees in the Civil Service**

| **საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში**<br>**Number of men and women employees in the Civil Service** | **კაცი**<br>**Male** | **ქალი**<br>**Female** |
|---|---|---|
| საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები<br>Administration of the Government of Georgia and Administration of the President of Georgia | 136 | 196 |
| საქართველოს პარლამენტი<br>Parliament of Georgia | 196 | 378 |
| აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები<br>Autonomous Republics of Abkhazia and Adjara | 685 | 612 |
| სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები<br>Governor's Administration | 129 | 137 |
| სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები<br>Ministries and State Ministers' Offices | 20537 | 5719 |

| | | |
|---|---|---|
| ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br>Local Self-Government Bodies | 6850 | 5063 |
| სასამართლოები<br>Courts | 653 | 1006 |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირები<br>LEPLS | 6980 | 1965 |
| ჯამი/Total | 36166 | 15076 |

**საჯარო სამსახურში ფაქტობრივად დასაქმებულთა საერთო რაოდენობა გენდერულ ჭრილში**

**The actual total number of male and female employees in the Civil Service**




კაცი/Male
ქალი/Female

**გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გამოკლებით ვიღებთ შემდეგ სურათს (ვინაიდან მათი საერთო რიცხვია 19091)**

**The Table does not include the servants employed in the Ministry of Internal Affairs (total number: 19091)**

| **საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში<br>Number of men and women employees in the Civil Service** | **კაცი<br>Male** | **ქალი<br>Female** |
|---|---|---|
| საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები<br>Administration of the Government of Georgia and Administration of the President of Georgia | 136 | 196 |

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს პარლამენტი<br>Parliament of Georgia | 196 | 378 |
| აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები<br>Autonomous Republics of Abkhazia and Adjara | 685 | 612 |
| სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები<br>Governor's Administration | 129 | 137 |
| სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები<br>Ministries and State Ministers' Offices | 4117 | 3048 |
| ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br>Local Self-Government Bodies | 6850 | 5063 |
| სასამართლოები<br>Courts | 653 | 1006 |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირები<br>LEPLS | 6980 | 1965 |
| ჯამი/Total | 19746 | 12405 |

**გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გამოკლებით ვიღებთ შემდეგ სურათს (ვინაიდან მათი საერთო რიცხვია 19091)**

**The Table does not include the servants employed in the Ministry of Internal Affairs (total number: 19091)**




კაცი/Male
ქალი/Female

## საჯარო სამსახურში ფაქტობრივად დასაქმებულთა საშუალო ასაკი 2016 წლის მონაცემებით, საჯარო სექტორში საჯარო სამსახურში დასაქმებულთა საშუალო ასაკი შეადგენს 40 წელს

## Based on the 2016 data the average age of employees in the Civil Service is 40




## საჯარო სამსახურში ფაქტობრივად დასაქმებულთა საშუალო ასაკი 2016 წლის მონაცემებით, საჯარო სექტორში საჯარო სამსახურში დასაქმებულთა საშუალო ასაკი შეადგენს 40 წელს

## The average age of employees in the Civil Service based on 2016 data the average age of employees in the Civil Service is 40 years old



| საჯარო სექტორში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამშრომელთა რაოდენობა<br>Number of people with disabilities employed in the public sector | |
|---|---|
| საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები<br>Administration of the Government of Georgia and Administration of the President of Georgia | 1 |
| საქართველოს პარლამენტი<br>Parliament of Georgia | 0 |
| აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები<br>Autonomous Republics of Abkhazia and Adjara | 6 |
| სახელმწიფო რწმუნებულების -გუბერნატორების ადმინისტრაციები<br>Governor's Administration | 0 |
| სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები<br>Ministries and State Ministers' Offices | 13 |
| ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br>Local Self-Government Bodies | 28 |
| სასამართლოები<br>Courts | 1 |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირები<br>LEPLS | 3 |
| ჯამი/Total | 52 |

| საჯარო სექტორში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებულთა რაოდენობა<br>Number of employees in managerial positions in the public sector | |
|---|---|
| საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები<br>Administration of the Government of Georgia and Administration of the President of Georgia | 52 |
| საქართველოს პარლამენტი<br>Parliament of Georgia | 69 |
| აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები<br>Autonomous Republics of Abkhazia and Adjara | 266 |
| სახელმწიფო რწმუნებულების -გუბერნატორების ადმინისტრაციები<br>Governor's Administration | 63 |
| სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები<br>Ministries and State Ministers' Offices | 1663 |
| ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br>Local Self-Government Bodies | 1812 |
| სასამართლოები<br>Courts | 119 |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირები<br>LEPLS | 1589 |
| ჯამი/Total | 5633 |

**გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გამოკლებით ვიღებთ შემდეგ სურათს (ვინაიდან მათი საერთო რიცხვია 19091)**
**The Table does not include the servants employed in the Ministry of Internal Affairs (total number: 19091)**

| **საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში**<br>Number of men and women employees in the Civil Service | **კაცი**<br>Male | **ქალი**<br>Female |
|---|---|---|
| საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები<br>Administration of the Government of Georgia and Administration of the President of Georgia | 27 | 25 |
| საქართველოს პარლამენტი<br>Parliament of Georgia | 34 | 35 |
| აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები<br>Autonomous Republics of Abkhazia and Adjara | 187 | 79 |
| სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები<br>Governor's Administration | 55 | 8 |
| სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები<br>Ministries and State Ministers' Offices | 1255 | 408 |
| ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br>Local Self-Government Bodies | 1367 | 445 |
| სასამართლოები<br>Courts | 67 | 52 |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირები<br>LEPLS | 1412 | 177 |
| ჯამი/Total | 4404 | 1229 |

## საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებულთა საერთო რაოდენობა გენდერულ ჭრილში
## The actual total number of managerial positions male and female employees in the Civil Service




**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებულთა გამოკლებით ვიღებთ შემდეგ სურათს (ვინაიდან მათი საერთო რიცხვია 654)**
**The Table does not include the servants Managerial positions employed in the Ministry of Internal Affairs (total number: 654)**

| საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში<br>Number of men and women employees in the Civil Service | კაცი<br>Male | ქალი<br>Female |
|---|---|---|
| საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები<br>Administration of the Government of Georgia and Administration of the President of Georgia | 27 | 25 |
| საქართველოს პარლამენტი<br>Parliament of Georgia | 34 | 35 |
| აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები<br>Autonomous Republics of Abkhazia and Adjara | 187 | 79 |
| სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები<br>Governor's Administration | 55 | 8 |

| | | |
|---|---|---|
| სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები<br>Ministries and State Ministers' Offices | 640 | 369 |
| ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br>Local Self-Government Bodies | 1367 | 445 |
| სასამართლოები<br>Courts | 67 | 52 |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირები<br>LEPLS | 1412 | 177 |
| ჯამი/Total | 3789 | 1190 |

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებულთა გამოკლებით ვიღებთ შემდეგ სურათს (ვინაიდან მათი საერთო რიცხვია 654)**

**The Table does not include the servants Managerial positions employed in the Ministry of Internal Affai**




კაცი/Male
ქალი/Female

| საჯარო სექტორში სტაჟიორთა რაოდენობა<br>Number of interns in the public sector | |
|---|---|
| საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები<br>Administration of the Government of Georgia and Administration of the President of Georgia | 30 |
| საქართველოს პარლამენტი<br>Parliament of Georgia | 26 |
| აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები<br>Autonomous Republics of Abkhazia and Adjara | 30 |
| სახელმწიფო რწმუნებულების -გუბერნატორების ადმინისტრაციები<br>Governor's Administration | 0 |
| სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები<br>Ministries and State Ministers' Offices | 275 |
| ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები<br>Local Self-Government Bodies | 214 |
| სასამართლოები<br>Courts | 97 |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირები<br>LEPLS | 238 |
| ჯამი/Total: 51242 | 910 |

| | |
|---|---|
| **საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შემუშავებულ სტაჟირების სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა რაოდენობა<br>Number of students/alumni involved in the State Internship Program initiated by Prime Minister of Georgia** | **1425** |